*პროექტი*

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2019 წლის------ქ. თბილისი

**საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე**

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული დადგენილება - „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობები“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ–მინისტრი გიორგი გახარია

**საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობები**

მუხლი 1 . ზოგადი დებულებები

1. საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობები (შემდგომში - წესი) არეგულირებს საფურაჟე კულტურების თესლის (შემდგომში - თესლი) ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ამ წესის მიზანია ბაზარზე განთავსებისათვის განკუთნილი თესლის წარმოება და მისი ბაზარზე განთავსებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა.

3. ეს წესი ვრცელდება მწარმოებლის მიერ ადგილობრივ ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილ თესლზე.

4. ეს წესი არ ვრცელდება ექსპორტისთვის განკუთვნილ თესლზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბაზარზე განთავსება - კომერციული მიზნებისათვის, მასალის სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, გაყიდვის მიზნით განთავსება და გასაყიდად შეთავაზება ან გადაცემის სხვა ფორმები გარდა მიწოდების ისეთი ფორმებისა, როგორიც არის კონტროლის ორგანოებისთვის გადაცემა, დამუშავებისა ან შეფუთვის მიზნით გადაცემა;

ბ) საფურაჟე მცენარეები - *გვარები და სახეობები, რომელიც განსაზღვრულია „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს N411 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში;*

გ) „წინასაბაზისო თესლი“ - საბაზისო თესლის წინა თაობის თესლი, რომელიც დამზადებულია სელექციონერის/შემნარჩუნებლის პასუხისმგებლობით ჯიშის შენარჩუნებისათვის საჭირო საწყისი მასალიდან. აკმაყოფილებს საბაზისო თესლის მიმართ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2-ით დადგენილ მოთხოვნებს;

დ) „საბაზისო თესლი“ - საბაზისო თესლი არის შემდეგნაირი:

დ.ა) სელექციური ჯიშების თესლი, რომელიც დამზადებულია სელექციონერის/შემნარჩუნებლის პასუხისმგებლობით, განკუთვნილია სერტიფიცირებული თესლის მისაღებად, აკმაყოფილებს საბაზისო თესლის მიმართ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2 - ით დადგენილ მოთხოვნებს;

დ.ბ) ადგილობრივი ჯიშების თესლი, რომელიც დამზადებულია მისი გავრცელების დადგენილ არეალში, განკუთვნილია სერტიფიცირებული თესლის

მისაღებად, აკმაყოფილებს საბაზისო თესლის მიმართ დანართი №1-ით და დანართი №2 -ით დადგენილ მოთხოვნებს;

ე) „სერტიფიცირებული თესლი“ - „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს N411 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში „3. საფურაჟე კულტურები“ ჩამოთვლილი ყველა სახეობის თესლი, გარდა: *Lupinus* spp., *Pisum sativum*, *Vicia* spp. და *Medicago sativa*, რომელიც დამზადებულია პირდაპირ საბაზისო თესლიდან ან სელექციონერის მოთხოვნის შემთხვევაში წინასაბაზისო თესლიდან, რომელიც აკმაყოფილებს საბაზისო თესლის მიმართ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2- ით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, გამიზნულია საერთო დანიშნულების ნათესების მისაღებად და აკმაყოფილებს „სერტიფიცირებული თესლის“ მიმართ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2 -ით დადგენილ მოთხოვნებს;

ვ) „პირველი თაობის სერტიფიცირებული თესლი“ - (*Lupinus* spp., *Pisum sativum*, *Vicia* spp. და *Medicago sativa*) - თესლი, რომელიც დამზადებულია პირდაპირ საბაზისო თესლიდან ან სელექციონერის მოთხოვნის შემთხვევაში წინასაბაზისო თესლიდან და აკმაყოფილებს საბაზისო თესლის მიმართ დანართი №1-ით და დანართი №2-ით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, განკუთვნილია მეორე თაობის სერტიფიცირებული თესლის ან საერთო დანიშნულების ნათესების მისაღებად და აკმაყოფილებს პირველი თაობის სერტიფიცირებული თესლის მიმართ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2 -ით დადგენილ მოთხოვნებს;

ზ) „მეორე თაობის სერტიფიცირებული თესლი“ - (*Lupinus* spp., *Pisum* sativum, *Vici*a spp. and *Medicago* sativa) - თესლი რომელიც დამზადებულია საბაზისო თესლიდან ან პირველი თაობის სერტიფიცირებული თესლიდან ან სელექციონერის მოთხოვნის შემთხვევაში საბაზისო თესლის წინა თაობების თესლიდან და აკმაყოფილებს საბაზისო თესლის მიმართ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2 -ით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, განკუთვნილია საერთო დანიშნულების ნათესების მისაღებად და აკმაყოფილებს მეორე თაობის სერტიფიცირებული თესლის მიმართ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2 -ით დადგენილ მოთხოვნებს;

თ) „კომერციული თესლი“ - თესლი, რომელიც იდენტიფიცირდება სახეობის მიხედვით, აკმაყოფილებს კომერციული თესლის მიმართ ამ წესის დანართი №2-ით დადგენილ მოთხოვნებს;

ი) „არასრულად სერტიფიცირებული თესლი“ - თესლი, რომელსაც ნაწილობრივ აქვს გავლილი სერტიფიცირების პროცედურები.

2. ამ წესის მიზნებისთვის, ასევე გამოიყენება „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერმინები თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

**მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები**

1. ბაზარზე შეიძლება განთავსდეს საფურაჟე კულტურების თესლი, რომელიც კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ა) „წინასაბაზისო თესლი“

ბ) „საბაზისო თესლი“, რომელიც მოიცავს:

ბ.ა) სელექციური ჯიშების თესლს  და
ბ.ბ) ადგილობრივი ჯიშების თესლს;

გ) „სერტიფიცირებული თესლი“;

დ) „პირველი თაობის სერტიფიცირებული თესლი“ (*Lupinus* spp., *Pisum sativum*, *Vicia* spp. და *Medicago sativa*);

ე) „მეორე თაობის სერტიფიცირებული თესლი“ (*Lupinus* spp., *Pisum* sativum, *Vici*a spp. and *Medicago* sativa)

ვ) „კომერციული თესლი“;

ზ) „არასრულად სერტიფიცირებული თესლი“.

2. გვარების და სახეობების: *Brassica napus* L. var. *napobrassica* (L.) Rchb., *Brassica oleracea* L. convar. *acephala* (DC.) Alef. var. *medullosa* Thell. + var. *viridis* L., *Dactylis glomerata* L., *Dactylis glomerata* L., *Festuca arundinacea* Schreber, *Festuca pratensis* Hudson, *Festuca rubra* L., *Galega orientalis* Lam.*fodder galega, Lolium multiflorum* Lam., *Lolium perenne* L., *Lolium x hybridum* Hausskn, *Phleum pratense* L., *Medicago sativa* L., *Medicago × varia* T. Martyn, *PisumRaphanus sativus* L. var. *oleiformis* Pers.*sativum* L., *Trifolium repens* L., *Trifolium pratense* L. თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე თუ ის სერტიფიცირებულია, როგორც საბაზისო ან სერტიფიცირებული თესლი. სხვა გვარების და სახეობების თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე თუ ის

სერტიფიცირებულია, როგორც „საბაზისო“, „სერტიფიცირებული“ ან „კომერციული თესლი“.

3. ბაზარზე დასაშვებია განთავსდეს თესლის ნარევები, რომლის შემადგენელი კომპონენტები არის სერტიფიცირებული. კომპონენტების დასახელებები და ნარევში მათი წონითი თანაფარდობა უნდა მიეთითოს ეტიკეტზე.

4. იმ შემთხვევაში თუ სათესლე ნაკვეთმა გაიარა საველე ინსპექტირება და ის აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, ასეთი ნაკვეთიდან აღებული თესლი შეიძლება იქნეს სერტიფიცირებული და განთავსდეს ბაზარზე, როგორც არასრულად სერტიფიცირებული თესლი.

5. თესლის პარტიის მაქსიმალური წონა და თესლის ნიმუშის მინიმალური წონა უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის დანართ №3-ში მითითებულ მოთხოვნებს.

**მუხლი 4. სახელმწიფო კონტროლი**

თესლის ბაზარზე განთავსებისას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

**დანართი №1**

**მოთხოვნები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სათესლე ნაკვეთი**

1. წინამორბედი კულტურა არ უნდა იყოს შეუსაბამო ამ წესში მოყვანილი კულტურათა ჯიშების სათესლე ნაკვეთებისათვის. სათესლე ნაკვეთი არ უნდა იყოს დასარევლიანებული წინამორბედი კულტურების მცენარეებით.
2. მინიმალური საიზოლაციო მანძილები სათესლე ნაკვეთებისათვის არასასურველი გადამტვერავი წყაროდან:

| სათესლე ნაკვეთი | მინიმალური საიზოლაციო მანძილი (მეტრი) |
|---|---|
| Brassica spp., Phacelia tanacetifolia: | |
| - „საბაზისო თესლის“ წარმოებისთვის | 400 |
| - „სერტიფიცირებული თესლის“ წარმოებისთვის | 200 |

| | |
|---|---|
| სახეობები ან ჯიშები გარდა Brassica spp., Phacelia tanacetifolia; Pisum sativum; Poa pratensis ჯიშებისა:<br>- გამრავლებისათვის გამიზნული თესლის წარმოებისათვის, ორ ჰექტრამდე ნაკვეთი<br><br>- გამრავლებისთვის გამიზნული თესლის წარმოებისთვის, ორ ჰექტარზე მეტი ნაკვეთი<br><br>- არასათესლე დანიშნულების ნაკვეთების დასათესად განკუთვნილი თესლის საწარმოებლად, ორ ჰექტრამდე ნაკვეთი<br>- არასათესლე დანიშნულების ნაკვეთების დასათესად განკუთვნილი თესლის საწარმოებლად, ორ ჰექტრზე მეტი ნაკვეთი. | <br><br><br>200<br><br>100<br><br><br>100<br><br><br>50 |

**შენიშვნა:** ეს მანძილები შეიძლება შეიცვალოს თუ არსებობს საკმარისი ბარიერი არასასურველი გადამტვერვის წყაროსადმი.

3. სხვა სახეობების მინარევი მცენარეები, რომელთა თესლი ძნელად გაწირჩევა სათესლე მცენარეებიდან მიღებული თესლისაგან, სათესლე ნაკვეთებში უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე რაოდენობით.

4. *Lolium* - ის სახეობების ან × *Festulolium* -ის სათესლე ნაკვეთები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: *lolium* სახეობების ან × *Festulolium* თესლის მისაღები სათესლე ნაკვეთებისათვის, სხვა სახეობების მცენარეები არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 1 მცენარეს 50 კვ.მ. ფართობზე „საბაზისო თესლის" დასამზადებლად;
ბ) 1 მცენარეს 10 კვ.მ. „სერტიფიცირებული თესლის" დასამზადებლად.

5. სათესლე ნაკვეთს უნდა ჰქონდეს საკმარისი ჯიშობრივი იდენტურობა და სიწმინდე.

6. სათესლე ნაკვეთებში ჯიშები, გარდა *Pisum sativum, Vicia faba, Brassica napus var. napobrassica, Brassica oleracea convar. acephala, Poa pratensis* სახეობებისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: არატიპიური მცენარეთა ჯიშობრივი მინარევების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ერთ მცენარეს 30კვ.მ. ფართობზე საბაზისო თესლის მისაღებ სათესლე ნაკვეთზე;
ბ) ერთ მცენარეს 10კვ.მ. ფართობზე სერტიფიცირებული თესლის მისაღებ სათესლე ნაკვეთზე.

7. *Poa pratensis* სათესლე ნაკვეთებისათვის არატიპიური მცენარეთა ჯიშობრივი მინარევები არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ერთ მცენარეს 20კვ.მ. ფართობზე საბაზისო თესლის მისაღებ სათესლე ნაკვეთზე;
ბ) ოთხ მცენარეს 20კვ.მ. ფართობზე საბაზისო თესლის მისაღებ სათესლე ნაკვეთზე.

8. ჯიშები, რომლებიც არიან ოფიციალურად კლასიფიცირებული, როგორც „აპომიქტური მონოკლონალური ჯიშეები" და მათ სათესლე ნაკვეთებში ჯიშობრივი მინარევება აღემატება 6 მცენარეს 10 კვ. მეტრ ფართობზე, უნდა აკმაყოფილებდნენ „სერტიფიცირებული თესლისათვის" ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

9. მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ის მავნე ორგანიზმები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან თესლის სარგებლიანობას.

10. სათესლე ნაკვეთების შესამოწმებლად უნდა ჩატარდეს სულ მცირე ერთი საველე ინსპექტირება.

**დანართი №2**

**მოთხოვნები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თესლი**

**ნაწილი №1.**

**„სერტიფიცირებული თესლი"**

1. თესლს უნდა ჰქონდეს საკმარისი ჯიშობრივი იდენტურობა და სიწმინდე, მინიმალური ჯიშობრივი სიწმინდის ნორმებია:

| N | სახეობები | მინიმალური ჯიშობრივი სიწმინდე (%) |
|---|---|---|
| 1 | *Poa pratensis, Brassica napus var. napobrassica* და *Brassica oleracea* convar. *acephala* | 98 |
| 2 | *Pisum sativum, Vicia faba*:<br>პირველი თაობის სერტიფიცირებული თესლი<br>მეორე თაობის სერტიფიცირებული თესლი | <br>99<br>98 |
| 3 | *Trifolium subterraneum, Medicago* spp., გარდა *M. lupulina*, *M. sativa*, *M. x varia*: | |

| | | |
|---|---|---|
| | საბაზისო თესლის წარმოებისთვის<br>შემდგომი გამრავლების მიზნით სერტიფიცირებული თესლის წარმოებისთვის<br>სერტიფიცირებული თესლის წარმოებისთვის | 99,5<br>98<br>95 |

**2.** სხვადასხვა ჯიშების თესლი, მათ შორის *Lupinus* spp.-ს ტკბილ ჯიშებში არსებული მწარე თესლი უნდა აკმაყოფილებდეს აღმოცენების უნარისადმი, ანალიზური სიწმინდისადმი და სხვა სახეობების თესლის შემცველობისადმი დადგენილ მოთხოვნებს, თესლის შემცველობისადმი ცხრილ №1-ში მითითებულ მოთხოვნებს:

**ცხრილი №1.**

| სახეობები | აღმოცენების უნარი | ანალიზური სიწმინდე | სხვა სახეობების მცენარეთა თესლის მაქსიმალური შემცველობა ამ წესის დანართი№3-ის მე-4 სვეტში განსაზღვრული წონის ნიმუშში (სულ ყოველ სვეტზე) | *Lupinus* spp.-ის მწარე და სხვა ფერის თესლის რაოდენობასთან [illegible] |
|---|---|---|---|---|
| | | სხვა სახეობების მცენარეთა თესლის მაქსიმალური შემცველობა (% წონის მიხედვით) | | |

| | მინიმალური აღმოცენების უნარი (% სუფთა თესლში) | მაგარი თესლის მაქსიმალური შემცველობა (% სუფთა | მინიმალური ანალიზური სიწმინდე | სულ | ცალკეული სახეობები | *Elytrigia repens* | *Alopecurus myosuroides* | *Melilotus* spp. | *Raphanus raphanistrum* | *Sinapis arvensis* | *Avena fatua, Avena sterilis* | *Cuscuta* spp. | *Rumex spp.* გარდა *Rumex acetosella* და Rumex maritimus | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| Poaceae (Gramineae) | | | | | | | | | | | | | | |
| *Agrostis canina* | 75 (ა) | | 90 | 2,0 | 1,0 | 0,3 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 2 (ო) | |
| *Agrostis capillaris* | 75 (ა) | | 90 | 2,0 | 1,0 | 0,3 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 2 (ო) | |
| *Agrostis gigantea* | 80 (ა) | | 90 | 2,0 | 1,0 | 0,3 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 2 (ო) | |
| *Agrostis stolonifera* | 75 (ა) | | 90 | 2,0 | 1,0 | 0,3 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 2 (ო) | |
| *Alopecurus pratensis* | 70(ა) | | 75 | 2,5 | 1,0 (ვ) | 0,3 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Arrhenatherum elatius* | 75(ა) | | 90 | 3,0 | 1,0 (ვ) | 0,5 | 0, 3 | | | | 0 (ზ) | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Bromus catharticus* | 75 (ა) | | 97 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 (ზ) | 0 (ვ)(ლ) | 10 (ო) | |
| *Bromus sitchensis* | 75(ა) | | 97 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 (ზ) | 0 (ვ)(ლ) | 10 (ო) | |
| *Cynodon dactylon* | 70 (ა) | | 90 | 2,0 | 1,0 | 0,3 | 0, 3 | | | | 0 (ზ) | 0 (ვ)(ლ) | 2 | |
| *Dactylis glomerata* | 80 (ა) | | 90 | 1,5 | 1,0 | 0,3 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Festuca arundinacea* | 80 (ა) | | 95 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Festuca filiformis* | 75 (ა) | | 85 | 2,0 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Festuca ovina* | 75 (ა) | | 85 | 2,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Festuca pratensis* | 80 (ა) | | 95 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Festuca rubra* | 75(ა) | | 90 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Festuca trachyphylla* | 75(ა) | | 85 | 2,0 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *× Festulolium* | 75(ა) | | 96 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Lolium multiflorum* | 75(ა) | | 96 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0, 3 | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 5 (ო) | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *Lolium perenne* | 80 (ა) | | 96 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Lolium × hybridum* | 75 (ა) | | 96 | 1,5 | 1,0 | 0,5 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 5 (ო) | |
| *Phalaris aquatica* | 75 (ა) | | 96 | 1,5 | 1,0 | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 5 | |
| *Phleum nodosum* | 80(ა) | | 96 | 1,5 | 1,0 | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 5 | |
| *Phleum pratense* | 80(ა) | | 96 | 1,5 | 1,0 | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 5 | |
| *Poa annua* | 75(ა) | | 85 | 2,0 (გ) | 1,0 (გ) | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 5(ო) | |
| *Poa nemoralis* | 75 (ა) | | 85 | 2,0 (გ) | 1,0 (გ) | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 2 (ო) | |
| *Poa palustris* | 75 (ა) | | 85 | 2,0 (გ) | 1,0 (გ) | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0(კ)(ლ) | 2(ო) | |
| *Poa pratensis* | 75 (ა) | | 85 | 2,0 (გ) | 1,0 (გ) | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 2(ო) | |
| *Poa trivialis* | 75 (ა) | | 85 | 2,0 (გ) | 1,0 (გ) | 0,3 | 0,3 | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | 2(ო) | |
| *Trisetum flavescens* | 70 (ა) | | 75 | 3,0 | 1,0 (ვ) | 0,3 | 0,3 | | | | 0 (h) | 0 (კ)(ლ) | 2(ო) | |
| *Fabaceae (Leguminosae)* | | | | | | | | | | | | | | |
| *Biserrula pelecinus* | 70 | | 98 | 0,5 | | | | | | | 0 (ი) | 0 (კ)(ლ) | 10 | |
| *Galega orientalis* | 60 (ა)(ბ) | 40 | 97 | 2,0 | 1,5 | | | 0,3 | | | 0 | 0 (მ)(ნ) | 10 (ო) | |
| *Hedysarum coronarium* | 75 (ა)(ბ) | 30 | 95 | 2,5 | 1,0 | | | 0,3 | | | 0 | 0 (ლ) | 5 | |
| *Lathyrus cicera* | 80 | | 95 | 1 | 0,5 | | | 0,3 | | | 0 (ი) | 0(კ)(ლ) | 20 | |
| *Lotus corniculatus* | 75 (ა)(ბ) | 40 | 95 | 1,8 (დ) | 1,0 (დ) | | | 0,3 | | | 0 | 0 (მ)(m) | 10 | |
| *Lupinus albus* | 80 (ა)(ბ) | 20 | 98 | 0,5 (ე) | 0,3 ( ე) | | | 0,3 | | | 0 (ი) | 0 (კ) | 5 (ო) | (პ)(ქ) |
| *Lupinus angustifolius* | 75 (ა)(ბ) | 20 | 98 | 0,5 (ე) | 0,3 (ე) | | | 0,3 | | | 0 (ი) | 0 (კ) | 5 (ო) | (პ)(ქ) |
| *Lupinus luteus* | 80 (ა)(ბ) | 20 | 98 | 0,5 (ე) | 0,3 (ე) | | | 0,3 | | | 0 (ი) | 0 (კ) | 5 (ო) | (პ)(ქ) |
| *Medicago doliata* | 70 | | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (კ)(ლ) | 10 | |
| *Medicago italica* | 70 (ბ) | 20 | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (კ)(ლ) | 10 | |
| *Medicago littoralis* | 70 | | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (კ)(ლ) | 10 | |
| *Medicago lupulina* | 80 (ა)(ბ) | 20 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0,3 | | | 0 | 0 (კ)(ნ) | 10 | |
| *Medicago murex* | 70 (ბ) | 30 | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (კ)(ლ) | 10 | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *Medicago polymorpha* | 70 (ბ) | 30 | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Medicago rugosa* | 70 (ბ) | 20 | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Medicago sativa* | 80 (ა)(ბ) | 40 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (მ)(ნ) | 10 | |
| *Medicago scutellata* | 70 | | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Medicago truncatula* | 70 (ბ) | 20 | 98 | 2 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Medicago × varia* | 80 (ა)(ბ) | 40 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (ვ)(ნ) | 10 | |
| *Onobrychis viciifolia* | 75 (ა)(ბ) | 20 | 95 | 2,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (ვ) | 5 | |
| *Ornithopus compressus* | 75 | | 90 | 1 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Ornithopus sativus* | 75 | | 90 | 1 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Pisum sativum* | 80(ა) | | 98 | 0,5 | 0,3 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (ვ) | 5 (ო) | |
| *Trifolium alexandrinum* | 80 (ა)(ბ) | 20 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (l)(ნ) | 10 | |
| *Trifolium fragiferum* | 70 | | 98 | 1 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Trifolium glanduliferum* | 70 (ბ) | 30 | 98 | 1 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Trifolium hirtum* | 70 | | 98 | 1 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Trifolium hybridum* | 80 (ა)(ბ) | 20 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (l)(ნ) | 10 | |
| *Trifolium incarnatum* | 75 (ა)(ბ) | 20 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (l)(ნ) | 10 | |
| *Trifolium isthmocarpum* | 70 | | 98 | 1 | | | | | | | 0 | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Trifolium michelianum* | 75 (ბ) | 30 | 98 | 1 | | | | | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Trifolium pratense* | 80 (ა)(ბ) | 20 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (მ)(ნ) | 10 | |
| *Trifolium repens* | 80 (ა)(ბ) | 40 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (მ)(ნ) | 10 | |
| *Trifolium resupinatum* | 80 (ა)(ბ) | 20 | 97 | 1,5 | 1,0 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (მ)(ნ) | 10 | |
| *Trifolium squarrosum* | 75(ბ) | 20 | 97 | 1,5 | | | | 0, 3 | | | 0 | 0 (მ)(ნ) | 10 | |
| *Trifolium subterraneum* | 80 (ბ) | 40 | 97 | 0,5 | | | | 0, 3 | | | 0 (ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Trifolium vesiculosum* | 70 | | 98 | 1 | | | | | | | 0(ი) | 0 (ვ)(ლ) | 10 | |
| *Trigonella foenum-graecum* | 80 (ა) | | 95 | 1,0 | 0,5 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (ვ) | 5 | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *Vicia benghalensis* | 80 (ბ) | 20 | 97 (ე) | 1 | | | | | | | 0(ი) | 0 (კ)(ლ) | 10 | |
| *Vicia faba* | 80 (ა)(ბ) | 5 | 98 | 0,5 | 0,3 | | | 0, 3 | | | 0 | 0 (კ) | 5 (ო) | |
| *Vicia pannonica* | 85 (ა)(ბ) | 20 | 98 | 1,0 (ე) | 0,5 (ე) | | | 0, 3 | | | 0 (ი) | 0(კ) | 5 (ო) | |
| *Vicia sativa* | 85 (ა)(ბ) | 20 | 98 | 1,0( ე) | 0,5 (ე) | | | 0, 3 | | | 0 (ი) | 0 (კ) | 5 (ო) | |
| *Vicia villosa* | 85 (ა)(ბ) | 20 | 98 | 1,0 (ე) | 0,5 (ე) | | | 0, 3 | | | 0 (ი) | 0 (კ) | 5 (ო) | |
| *Other species* | | | | | | | | | | | | | | |
| *Brassica napus* var. *napobrassica* | 80 (ა) | | 98 | 1,0 | 0,5 | | | | 0, 3 | 0,3 | 0 | 0 (კ)(ლ) | 5 | |
| *Brassica oleracea convar. acephala (acephala var. medullosa +* var. *viridis)* | 75 (ა) | | 98 | 1,0 | 0,5 | | | | 0, 3 | 0,3 | 0 | 0 (კ)(ლ) | 10 | |
| *Phacelia tanacetifolia* | 80 (ა) | | 96 | 1,0 | 0,5 | | | | | | 0 | 0 (კ)(ლ) | | |
| *Plantago lanceolata* | 75 | | 85 | 1,5 | | | | | | | 0 (ი) | 0 (კ)(ლ) | 10 | |
| *Raphanus sativus* var. *oleiformis* | 80 (ა) | | 97 | 1,0 | 0,5 | | | | 0, 3 | 0,3 | 0 | 0 (კ) | 5 | |

**შენიშვნა:** სხვა პირობები რომლებიც გამოიყენება იქ, სადაც მინიშნება კეთდება ამ ცხრილის მეორე სვეტის „ა"- ნაწილებზე:

ა) ყველა ახალი და ჯანსაღი თესლი, რომელიც წინასწარი დამუშავების შემდეგ არ აღმოცენდება, ჩაითვლება აღმოცენების უნარის მქონედ;

ბ) მაქსიმალურ რაოდენობამდე, წარმოდგენილი მყარი თესლი ჩაითვლება აღმოცენების უნარის მქონედ;

გ) ყველა *Poa* -ს სახეობების თესლის 8%-მდე მინარევი წონის მიხედვით, არ ჩაითვლება დასარევლიანებად.

დ) *Trifolium pretense* -ს თესლის 1%-მდე მინარევი წონის მიხედვით, არ ჩაითვლება დასარევლიანებად;

ე) *Lupinus albus, Lupinus angustifolius, Lupinus luteus, Pisum sativum, Vicia faba, Vicia* spp. -ის თესლის საერთო ჯამში 0,5%-მდე მინარევი, წონის მიხედვით, სხვა შესაბამის სახეობებში არ ჩაითვლება დასარევლიანებად;

ვ) დადგენილი მაქსიმალური პროცენტი ერთი სახეობის თესლის წონის მიხედვით არ უნდა იქნას გამოყენებული *Poa* spp.-ის თესლის მიმართ;

ზ)*Avena fatua*-ს და *Avena sterili*-ს თესლის ორი მარცვალი ჯამში, მოცემული წონის თესლში არ ჩაითვლება მინარევად, თუ იმავე წონის მეორე ნიმუშში არ აღმოჩნდება ამ სახეობების თესლი.

თ) *Avena fatua*-ს და *Avena sterili*-ს თესლის ერთი მარცვალი არ ჩაითვლება მინარევად თუ სხვა ორჯერ მეტი წონის ნიმუშში არ აღმოჩნდება ამ სახეობების თესლი;

ი) *Avena fatua*-ს და *Avena sterili*-ს თესლის რაოდენობის განსაზღვრა არ არის საჭირო თუ მე-12 სვეტში მოცემული პირობები სრულდება;

კ) *Cuscuta* spp .- ის თესლის რაოდენობის განსაზღვრა არ არის საჭირო თუ მე-13 სვეტში მოცემული პირობები სრულდება;

ლ) *Cuscuta* spp. - ის თესლის ერთი მარცვლის მინარევი დადგენილი წონის ნიმუშში არ ჩაითვალება დასარევლიანებად, თუ იმავე წონის მეორე ნიმუშში არ აღმოჩნდება *Cuscuta* spp.-ს (აბრეშუმა) თესლი;

მ) *Cuscuta* spp. - ის თესლის რაოდენობის განსაზღვრისთვის, ნიმუშის წონა უნდა იყოს ორჯერ მეტი, ამ წესის დანართი N3-ის „პარტიის და ნიმუშის წონები“ ცხრილის მე-4 სვეტში სახეობებისთვის დადგენილ წონებზე.

ნ) *Cuscuta* spp. - ის თესლის ერთი მარცვლის მინარევი დადგენილი წონის ნიმუშში, არ ჩაითვლება დასარევლიანებად, თუ სხვა, ორჯერ მეტი წონის ნიმუშში არ აღმოჩნდება *Cuscuta* spp.-ს (აბრეშუმა) თესლი;

ო) *Rumex* spp.-ის თესლი, გარდა *Rumex acetosella* და *Rumex maritimus* Rumex spp. თესლისა, რაოდენობის განსაზღვრას არ საჭიროებს, თუ მე-14 სვეტში მოცემული პირობები სრულდება;

პ) სხვა ფერის *Lupinus* spp. - ს თესლის პროცენტული შემცველობა რაოდენობის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს:

— მწარე ხანჭკოლაში 2%

—მწარე ხანჭკოლის გარდა სხვა Lupinus spp.-ში 1%

ჟ) Lupinus spp. - ს სახეობებში მწარე თესლის პროცენტული შემცველობა რაოდენობის მიხედვით არ უნდ აღემატებოდეს 2,5%.

3. მავნე ორგანიზმები, რომლებიც ამცირებენ თესლის სარგებლიანობას უნდა იყოს ყველაზე დაბალ დონეზე.

**ნაწილი №2.**

**„საბაზისო თესლი“**

1. ამ დანართის ნაწილ №1-ში მითითებული მოთხოვნები ვრცელდება, ასევე, „საბაზისო თესლის“ მიმართაც

2. *Pisum sativum, Brassica napus var. napobrassica, Brassica oleracea* convar. *acephala, Vicia faba* და *Poa pratensis* ჯიშების, მინიმალური ჯიშური სიწმინდე უნდა იყოს 99,7%.

3. „საბაზისო თესლი“ უნდა აკმაყოფილებდეს ამ დანართის ცხრილ №2-ში მითითებულ პირობებს:

**ცხრილი №2**

| სახეობები | სხვა სახეობების მცენარეთა თესლის მაქსიმალური შემცველობა | | | | | | სხვა სტანდარტები ან პირობები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თესლის შემცველობა რაოდენობის მიხედვით მე-3 დანართის მე-4 სვეტში მითითებულ წონის ნიმუშში ( სულ ყოველ სვეტში) | | | | | |
| | სულ (% წონის მიხედვით) | ერთეული სახეობები | Rumex spp. გარდა Rumex acetosella დაRumex maritimus | Elytrigia repens | Alopecurus myosuroides | Melilotus spp. | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| Poaceae | | | | | | | |
| *Agrostis canina* | 0,3 | 20 | 1 | 1 | 1 | | (ვ) |
| *Agrostis capillaris* | 0,3 | 20 | 1 | 1 | 1 | | (ვ) |
| *Agrostis gigantea* | 0,3 | 20 | 1 | 1 | 1 | | (ვ) |
| *Agrostis stolonifera* | 0,3 | 20 | 1 | 1 | 1 | | (ვ) |
| *Alopecurus pratensis* | 0,3 | 20 (ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Arrhenatherum elatius* | 0,3 | 20 (ა) | 2 | 5 | 5 | | (ი) (ვ) |
| *Bromus catharticus* | 0,4 | 20 | 5 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Bromus sitchensis* | 0,4 | 20 | 5 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Cynodon dactylon* | 0,3 | 20(ა) | 1 | 1 | 1 | | (ვ) |
| *Dactylis glomerata* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Festuca arundinacea* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Festuca filiformis* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Festuca ovina* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Festuca pratensis* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Festuca rubra* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Festuca trachyphylla* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *× Festulolium* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Lolium multiflorum* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Lolium perenne* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Lolium × hybridum* | 0,3 | 20(ა) | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Phalaris aquatica* | 0,3 | 20 | 2 | 5 | 5 | | (ვ) |
| *Phleum nodosum* | 0,3 | 20 | 2 | 1 | 1 | | (ვ) |
| *Phleum pratense* | 0,3 | 20 | 2 | 1 | 1 | | (ვ) |
| *Poa annua* | 0,3 | 20(ბ) | 1 | 1 | 1 | | (ვ)(ვ) |
| *Poa nemoralis* | 0,3 | 20(ბ) | 1 | 1 | 1 | | (ვ) (ვ) |
| *Poa palustris* | 0,3 | 20(ბ) | 1 | 1 | 1 | | (ვ)(ვ) |
| *Poa pratensis* | 0,3 | 20(ბ) | 1 | 1 | 1 | | (ვ)(ვ) |
| *Poa trivialis* | 0,3 | 20(ბ) | 1 | 1 | 1 | | (ვ)(ვ) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *Trisetum flavescens* | 0,3 | 20(გ) | 1 | 1 | 1 | | (ი)(ვ) |
| *Fabaceae (Leguminosae)* | | | | | | | |
| *Biserrula pelecinus* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Galega orientalis* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Hedysarum coronarium* | 0,3 | 20 | 2 | | | 0 (ე) | (ვ) |
| *Lathyrus cicera* | 0,3 | 20 | 5 | - | - | 0(დ) | |
| *Lotus corniculatus* | 0,3 | 20 | 3 | | | 0(ე) | (ზ)(ვ) |
| *Lupinus albus* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | (თ)(ლ) |
| *Lupinus angustifolius* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | (თ)(ლ) |
| *Lupinus luteus* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | (თ)(ლ) |
| *Medicago doliata* | 0,3 | 20 | 5 | - | - | 0(ე) | |
| *Medicago italica* | 0,3 | 20 | 5 | - | - | 0(ე) | |
| *Medicago littoralis* | 0,3 | 20 | 5 | - | - | 0(ე) | |
| *Medicago lupulina* | 0,3 | 20 | 5 | - | - | 0(ე) | (ვ) |
| *Medicago murex* | 0,3 | 20 | 5 | - | - | 0(ე) | |
| *Medicago polymorpha* | 0,3 | 20 | 5 | - | - | - | |
| *Medicago rugosa* | 0,3 | 20 | 5 | - | | | |
| *Medicago sativa0,3* | 0,3 | 20 | 3 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Medicago scutellata* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Medicago truncatula* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Medicago × varia* | 0,3 | 20 | 3 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Onobrychis viciifolia* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | |
| *Ornithopus compressus* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Ornithopus sativus* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Pisum sativum* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | |
| *Trifolium alexandrinum* | 0,3 | 20 | 3 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Trifolium fragiferum* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Trifolium glanduliferum* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Trifolium hirtum* | 0,3 | 20 | 5 | | | | |
| *Trifolium hybridum* | 0,3 | 20 | 3 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Trifolium incarnatum* | 0,3 | 20 | 3 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Trifolium isthmocarpum* | 0,3 | 20 | 5 | - | - | - | (ვ) |
| *Trifolium michelianum* | 0,3 | 20 | 5 | - | - | - | - |
| *Trifolium pratense* | 0,3 | 20 | 5 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Trifolium repens* | 0,3 | 20 | 5 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Trifolium resupinatum* | 0,3 | 20 | 3 | | | 0(ე) | (ვ) |
| *Trifolium squarrosum* | 0,3 | 20 | 5 | - | - | - | - |
| *Trifolium subterraneum* | 0,3 | 20 | 5 | - | - | - | (ვ) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *Trifolium vesiculosum* | 0,3 | 20 | 5 | - | - | - | (ვ) |
| *Trigonella foenum-graecum* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | |
| *Vicia benghalensis* | 0,3 | 20 | 5 | - | - | 0(დ) | - |
| *Vicia faba* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | |
| *Vicia pannonica* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | (თ) |
| *Vicia sativa* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | (თ) |
| *Vicia villosa* | 0,3 | 20 | 2 | | | 0(დ) | (თ) |
| *სხვა სახეობები* | | | | | | | |
| *Brassica napus var. napobrassica* | 0,3 | 20 | 2 | | | | (ვ) |
| *Brassica oleracea convar. acephala (acephala var. medullosa + var. viridis)* | 0,3 | 20 | 3 | | | | (ვ) |
| *Phacelia tanacetifolia* | 0,3 | 20 | | | | | |
| *Plantago lanceolata* | 0,3 | 20 | 3 | | | | |
| *Raphanus sativus var. oleiformis* | 0,3 | 20 | 2 | | | | |

4. სხვა პირობები, რომლებიც გამოიყენება იქ, სადაც მინიშნება კეთდება ამ ცხრილი№2-ის მეორე სვეტის „ა“- ნაწილებზე:

ა) თუ *Poa* spp. - ს თესლის მაქსიმალური საერთო რაოდენობა არ აღემატება 80 მარცვალს, თესლი არ ჩაითვლება დასარევლიანებულად;

ბ) ამ ცხრილი N2-ის მე-3 სვეტში მითითებული მოთხოვნა არ გამოიყენება *Poa* spp. -ს თესლის მიმართ. *Poa* spp. - ს თესლის მაქსიმალური საერთო შემცველობა, გარდა შესწავლილი სახეობებისა, არ უნდა აღემატებოდეს ერთს 500 მარცვლიან ნიმუშში;

გ) თუ *Poa* spp.-ს თესლის მაქსიმალური საერთო რაოდენობა არ აღემატება 20 მარცვალს თესლი არ უნდა ჩაითვალოს დასარევლიანებულად;

დ) *Melilotus* spp. - ს თესლის რაოდენობის განსაზღვრა არ არის საჭირო თუ მე-7 სვეტში მითითებული პირობები სრულდება;

ე) *Melilotus* spp.-ს თესლის ერთი მარცვალი დადგენილი წონის ნიმუშში არ ჩაითვლება მინარევად, თუ მეორე ნიმუშში, რომელიც ორჯერ აღემატება დადგენილ წონას, არ აღმოჩნდება *Melilotus* spp.-ს თესლი;

ვ) *Lupinus* spp.-ს ჯიშებში მწარე თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1%-ს.

**ნაწილი №3**

**„კომერციული თესლი“**

კომერციული თესლი უნდა აკმაყოფილებდეს ამ დანართის ნაწილი **№**1-ის მე-2 პუნქტში მითითებული პირობებს:

ა) ამ დანართის ცხრილი №1--ის მე-5 და მე-6 სვეტებში მითითებული პროცენტული მონაცემები გაიზარდა 1%-ით;

ბ) *Poa annua*-ს თესლში, *Poa* - ს სხვა სახეობების თესლის არაუმეტეს 10% მინარევი წონის მიხედვით, არ უნდა ჩაითვალოს დასარევლიანებად;

გ) *Poa* spp.-ს თესლში, გარდა *Poa annua*-ს სახეობისა, სხვა *Poa* სახეობების თესლის არაუმეტეს 3%-მდე მინარევი წონის მიხედვით, არ უნდა ჩაითვალოს დასარევლიანებად;

დ) Hedysarum coronarium-ს თესლში, *Melilotus* spp. -ის თესლის 1% მინარევი წონის მიხედვით, არ უნდა ჩაითვალოს დასარევლიანებად.

ე) ამ დანართის ნაწილი№1-ის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული პირობები არ ეხება *Lotus corniculatus* თესლს;

ვ) Lupinus spp- თესლისათვის:

ვ.ა) მინიმალური ანალიზური სიწმინდე წონის მიხედვით უნდა იყოს 97%;

ვ.ბ) სხვა ფერის *Lupinus* spp. -ს თესლის პროცენტული შემცველობა თესლის რაოდენობის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს:

ვ.ბ.ა) მწარე ხანჭკოლა თესლში 4%-ს;

ვ.ბ.ბ) *Lupinus spp*. თესლში, გარდა მწარე ხანჭკოლასი, 2%-ს;

**2.** *Vicia* spp.-ის სახეობებისათვის, *Vicia pannonica*, *Vicia villosa*, *Vicia benghalensis*-ის ან მსგავსი კულტურული სახეობების თესლის 6%-მდე მინარევი წონის მიხედვით არ უნდა ჩაითვალოს დასარევლიანებად.

**3**. *Vicia pannonica, Vicia villosa*, Vicia benghalensis-ის თესლის მინიმალური ანალიზური სიწმინდე უნდა იყოს 97,0% წონის მიხედვით.

**4.** Lathyrus cicera-ს თესლის მინიმალური ანალიზური სიწმინდე უნდა იყოს 90% წონის მიხედვით. მსგავსი კულტურული სახეობების თესლის 5%-მდე მინარევი საერთო წონის მიხედვით, არ უნდა ჩაითვალოს დასარევლიანებად.

**დანართი N3**

**პარტიის და ნიმუშის წონები**

| სახეობები | პარტიის მაქსიმალური წონა (ტონა) | პარტიიდან აღებული ნიმუშის მინიმალური წონა (გრამი) | ნიმუშის წონა (გრამებში), ამ წესის დანართი № 2-ის ცხრილი №1-ის 12 – 14 სვეტების და დანართი №2-ის, ცხრილი № 2-ის 3 - 7 სვეტების მიხედვით თესლის რაოდენობის განსაზღვრისათვის |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| *Poaceae (Gramineae)* (1) | | | |
| *Agrostis canina* | 10 | 50 | 5 |
| *Agrostis capillaris* | 10 | 50 | 5 |
| *Agrostis gigantea* | 10 | 50 | 5 |
| *Agrostis stolonifera* | 10 | 50 | 5 |
| *Alopecurus pratensis* | 10 | 100 | 30 |
| *Arrhenatherum elatius* | 10 | 200 | 80 |
| *Bromus catharticus* | 10 | 200 | 200 |
| *Bromus sitchensis* | 10 | 200 | 200 |
| *Cynodon dactylon* | 10 | 50 | 5 |
| *Dactylis glomerata* | 10 | 100 | 30 |
| *Festuca arundinacea* | 10 | 100 | 50 |
| *Festuca filiformis* | 10 | 100 | 30 |
| *Festuca ovina* | 10 | 100 | 30 |
| *Festuca pratensis* | 10 | 100 | 50 |
| *Festuca rubra* | 10 | 100 | 30 |
| *Festuca trachyphylla* | 10 | 100 | 30 |
| *× Festulolium* | 10 | 100 | 60 |
| *Lolium multiflorum* | 10 | 200 | 60 |
| *Lolium perenne* | 10 | 200 | 60 |
| *Lolium × hybridum* | 10 | 200 | 60 |
| *Phalaris aquatica* | 10 | 100 | 50 |

| | | | |
|---|---|---|---|
| *Phleum nodosum* | 10 | 50 | 10 |
| *Phleum pratense* | 10 | 50 | 10 |
| *Poa annua* | 10 | 50 | 10 |
| *Poa nemoralis* | 10 | 50 | 5 |
| *Poa palustris* | 10 | 50 | 5 |
| *Poa pratensis* | 10 | 50 | 5 |
| *Poa trivialis* | 10 | 50 | 5 |
| *Trisetum flavescens* | 10 | 50 | 5 |
| *Fabaceae (Leguminosae)* | | | |
| *Biserrula pelecinus* | 10 | 30 | 3 |
| *Galega orientalis* | 10 | 250 | 200 |
| *Hedysarum coronarium* | 10 | 1 000 | 300 |
| ნაყოფი | 10 | 400 | 120 |
| თესლი | | | |
| *Lathyrus cicera* | 25 | 1 000 | 140 |
| *Lotus corniculatus* | 10 | 200 | 30 |
| *Lupinus albus* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *Lupinus angustifolius* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *Lupinus luteus* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *Medicago doliata* | 10 | 100 | 10 |
| *Medicago italica* | 10 | 100 | 10 |
| *Medicago littoralis* | 10 | 70 | 7 |
| *Medicago lupulina* | 10 | 300 | 50 |
| *Medicago murex* | 10 | 50 | 5 |
| *Medicago polymorpha* | 10 | 70 | 7 |
| *Medicago rugosa* | 10 | 180 | 18 |
| *Medicago sativa* | 10 | 300 | 50 |
| *Medicago scutellata* | 10 | 400 | 40 |
| *Medicago truncatula* | 10 | 100 | 10 |
| *Medicago × varia* | 10 | 300 | 50 |
| *Onobrychis viciifolia:* | | | |
| ნაყოფი | 10 | 600 | 600 |
| თესლი | 10 | 400 | 400 |
| *Ornithopus compressus* | 10 | 120 | 12 |
| *Ornithopus sativus* | 10 | 90 | 9 |
| *Pisum sativum* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *Trifolium alexandrinum* | 10 | 400 | 60 |
| *Trifolium fragiferum* | 10 | 40 | 4 |
| *Trifolium glanduliferum* | 10 | 20 | 2 |
| *Trifolium hirtum* | 10 | 70 | 7 |

| | | | |
|---|---|---|---|
| *Trifolium hybridum* | 10 | 200 | 20 |
| *Trifolium incarnatum* | 10 | 500 | 80 |
| *Trifolium isthmocarpum* | 10 | 100 | 3 |
| *Trifolium michelianum* | 10 | 25 | 2 |
| *Trifolium pratense* | 10 | 300 | 50 |
| *Trifolium repens* | 10 | 200 | 20 |
| *Trifolium resupinatum* | 10 | 200 | 20 |
| *Trifolium squarrosum* | 10 | 150 | 15 |
| *Trifolium subterraneum* | 10 | 250 | 25 |
| *Trifolium vesiculosum* | 10 | 100 | 3 |
| *Trigonella foenum-graecum* | 10 | 500 | 450 |
| *Vicia benghalensis* | 20 | 1 000 | 120 |
| *Vicia faba* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *Vicia pannonica* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *Vicia sativa* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *Vicia villosa* | 30 | 1 000 | 1 000 |
| *სხვა სახეობები* | | | |
| *Brassica napus var. napobrassica* | 10 | 200 | 100 |
| *Phacelia tanacetifolia* | 10 | 300 | 40 |
| *Plantago lanceolata* | 5 | 20 | 2 |
| *Raphanus sativus var. oleiformis* | 10 | 300 | 300 |

(1) პარტიის მაქსიმალური წონა შეიძლება გაიზარდოს 25 ტონით, თუ მწარმოებელს ამისი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

---

პარტიის წონა არ უნდა აჭარბებდეს მაქსიმალური წონის 5%-ს.

## განმარტებითი ბარათი

## "საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

## ინფორმაცია პროექტის შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილების წარმოდგენილი პროექტი არეგულირებს საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) რომლის მე-4 თავის, თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება (DCFTA -ის თავი 4, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, დანართი XI ბ).

პროექტის მოქმედება ვრცელდება, საფურაჟე კულტურების თესლზე, რომელიც განსაზღვრულია „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს N411 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხაში. ხოლო, არ ვრცელდება ექსპორტისთვის განკუთვნილი თესლზე.

პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რეალიზაციასთან და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ჯიშისადმი დაწესებული მოთხოვნები და პირობები.

პროექტის თანახმად, საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსებისას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

**ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი შემუშავებულია, ევროსაბჭოს 1966 წლის 14 ივნისის N66/401/EEC დირექტივის „ცხოველის საკვები კულტურების თესლის მარკეტინგის შესახებ“ შესაბამისად.

**პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

**პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის მიღებით მოხდება, საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

**პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან.

**პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.